დიდება საბჭოთა მილიციას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფხიზელი გუშაგი

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ОХРАНЫ ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 46 (2436). | ორშაბათი, 11 ნოემბერი, 1968 წ. | ფასი 4 კაპ.

„განამტკიცებდე
დისციპლინას
მტკიცედ და მკაცრად,
შენ, ამხანაგო,
მილიციის რიგებში მარად!"

„ხულიგნებს დაზოგავ?
არა! —
აი შენი ლოზუნგი მარად!

„წვრილმან ქურდებზეც კი
დღენიადაგ
თვალყური გეჭირდა,
ლარიბს რომ ჰპარავს
მისაც წული
არც ისე ჰყოფნის"

„მილიციელო,
ბარიკადებს მახვილო მზერა,
უფრო მახვილო
და
უფრო მჭვილი!"

ვ. მაიაკოვსკი.

ოქტომბრის ზეიმი

მოსკოვი

ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ფ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც მოედანზე შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან.

ტრიბუნაზე არიან საზღვარგარეთელი სტუმრები.

10 საათია. კრემლის მაცხოვრის კარიდან ღია მანქანით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. იგი იღებს პარადის სარდლის, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ე. ფ. ივანოვსკის პატაკს.

ჯარების ტრადიციული ჩამოვლის შემდეგ თავდაცვის მინისტრი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვა წარმოთქვა.

იწყება ჯარების პარადი, რომლის შემდეგ დაახლოებით სამ საათს გასტანს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მსვლელობა. მოსკოვის მშრომელებმა ცხადჰყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც იარონ წინ ოქტომბრის გზით.

თბილისი

დილის 10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, უ. ი. მაწკევაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჩავა, ა. ნ. ინაური, ზ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი.

იწყება სამხედრო პარადი. თბილისის გარნიზონის ჯარების ტრადიციულ მარშს იწყებს ოფიცერთა ნაკრები პოლკი. მედროშეებს მოაქვთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წმინდათა-წმინდა საბრძოლო დროშა, რომელსაც ორდენის ლენტი ამშვენებს.

სამხედრო პარადმა ცხადყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარისკაცებისა და ოფიცრების შესანიშნავი საბრძოლო ოსტატობა.

ჯარის ნაწილების შემდეგ მოდის გაერთიანებული სასულე ორკესტრი. მარშის მელოდია ნელნელა მიჩუმდა, მცირე ხნით რუსთაველის პროსპექტი დაცარიელდა, მაგრამ რამდენიმე წუთში იგი ივსება სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებით.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების მძლავრი აღმავლობა, მისი შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მტკიცე სურვილი იბრძოლოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის — ყოველივე ეს კიდევ ერთხელ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი ოქტომბრის 51-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე.

ნ. ა. შჩოლოკოვის გამოსვლა რადიოთი

საბჭოთა მილიციის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ა. შჩოლოკოვი რადიოთი გამოვიდა. მინისტრმა გააშუქა საბჭოთა მილიციის მიერ 51 წლის მანძილზე განვლილი გმირული გზა.



საბჭოთა მილიციის დღე საერთო-სახალხო დღესასწაულია.

საბჭოთა მილიციის ისტორიის ფურცლები

1919 წლის 23 აპრილი. სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით დამტკიცებულ იქნა დებულება „[illegible] საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ".

1920 წლის 13 თებერვალი. მუშურ-გლეხური მილიციის საბჭოთა ხელისუფლების ერთგული კადრებით შევსების მიზნით მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც მილიციაში შესვლის უფლებას აძლევდა იმ წითელარმიელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში და მოქმედი არმიიდან ევაკუირებულნი იყვნენ სამკურნალო დაწესებულებებში, ანდა [illegible] ჭრილობის მიღების გამო.

1920 წლის 10 ივნისი. სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს პირველ დებულებას მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია მისი, როგორც სოციალისტური საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოს ამოცანები და კომპეტენცია. დეკრეტებს ხელს აწერენ ვ. ი. ლენინი და მ. ი. კალინინი.

1920 წლის 11 ივნისი. მიღებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება „მილიციის სურსათით, ფურაჟით და პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგების შესახებ".

1922 წლის მაისი. სამოქალაქო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით მოიხსნა მილიციის გასამხედროების აუცილებლობა. დებულებაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატზე, რომელიც დამტკიცებულ იქნა სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მილიციის ორგანოებს ეკისრებოდა საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ობიექტების დაცვა, დეკრეტების, კანონებისა და საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებების ცხოვრებაში გატარება.

1922 წლის 18 ოქტომბერი. გამოქვეყნდა სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი, რომელიც აღრიცხავს უფლებას წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვონ შრომისმოყვარე მილიციის ის მუშაკები, რომლებიც გამოიჩინეს გმირობა და მამაცობა ბანდიტიზმთან, ანტისაბჭოთა გამოსვლების ანდა კონტრრევოლუციონერების მასიური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1922 წლის 22 ნოემბერი. მიღებულ იქნა სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი „მილიციის პირადი შემადგენლობის გაწვევისა და დოკუმენტირების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა მილიციის გაწმენდას მტრული კლასისა და მორალურად არამყარი ელემენტებისაგან.

1922 წლის დეკემბერი. სსრ კავშირის შექმნიდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იმყოფებოდა მოკავშირე რესპუბლიკების უწყებაში.

წერილის დასაწყისი იხილეთ „მეგზურის" 45-ე ნომერში.

ხალხის მადლობა მილიციას

ხოფის ნავსადგურში ცუდად გავხდი, რის შედეგადაც თბომავლის კაიუტაში დამრჩა ჩემი პირადი ნივთები. ორი დღის შემდეგ წესრიგის დაცვის მუშაკებმა მომძებნეს და ყველა ნივთი ჩამაბარეს. მინდა მადლობა გადავუხადო ხოფის მილიციის სახაზო განყოფილების თანამშრომლებს მ. აეიძეს და შ. ლეჟავას? დახმარებისათვის.

მ. სართანია,
საქართველოს რევიზორ-ბუღალტერი.
ქ. ცხაკაია.

ბათუმის სამგზავრო სადგურის მოსაცდელ დარბაზში დავკარგეთ ჩემოდნები. ბათუმის სახაზო მილიციის მუშაკების ნ. მატკავას და მ. ქოქუას მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩვენი ნივთები დაგვიბრუნდა, რისთვისაც ღრმა მადლობას ვუხდით მათ.

გ. პეტროსიანი, ვ. ვოსკანიანი,
ტ. ბიდჟიანი.

მოწინავეთა გალერეა

მილიციის მუშაკების მიერ საბჭოთა მილიციის 51-ე წლისთავისადმი ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება.

სურათებზე (მარჯვნიდან მარცხნივ): მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილების მილიციელი, უფროსი სერჟანტი გ. შანიძე, ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკის ასმეთაური ა. მაკაშვილი, მილიციის ქუთაისის რაიგანყოფილების მილიციელი, მილიციის ზემდეგი ა. ხეცურიანი.

ფოტო მ. პეკელიძისა.

მაღალი კულტურა — წესრიგის წყარო

აკადემიკოსი ულოცავს მილიციას

★

ა. ზურაბაშვილი

ჩვენს დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესების მთავარ წყაროდ მე მილიციის ორგანოებში განათლებული, მაღალკულტურული ხელმძღვანელი ამხანაგების მუშაობა მიმაჩნია. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ საზოგადოებრივი წესრიგი, სიმშვიდე დედაქალაქში საერთოდ, და განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, რომელიც აგრე ხელშესახებად იგრძნობა, მოწყობილია ჩვენი უშუალო დასვენების მამაცი და მუხლმოუხრელი გუშაგების მეცადინეობის შედეგად. მე, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრს, დიდად მახარებს ჩვენი რესპუბლიკის მილიციაში საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საქმეში, თუმცა არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ხულიგნობისა და უხეშობის ზოგიერთი ფაქტი, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ყოველდღიურობაში. ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ გვსიამოვნებს. ალბათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგჯერ მათგანის მიმართ ჩვენი მხარე კულტურა. ზოგჯერ შეიძლება ადამიანი, ისე უბრალოდ და უშიშად ბიზაკუბობს მილიციელი, მაგრამ საბედნიეროდ სიამოვნებით ვზიარდება სახე, როცა ლუდის მუნდირში გამოწყობილ თავაზიან ქალს ელაპარაკები. მაშინ ნამდვილად მჯერა, რომ მისთანანი აცავენ შენს სიმშვიდეს, თავს დასტრიალებენ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს.

ვუსურვებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ყველა მუშაკს იყოს წმინდა, უანგარო და თავმდაბალი. დიდის თავისი საქციელით მაგალითს მისცეს ყველას, ვისთანაც კი ურთიერთობა აქვს ან მომავალში ექნება.

△ მოკლედ

მესტია. მილიციის მესტიის რაიგანყოფილებამ დააჯილდოვა და დაასაჩუქრა თ. გურჩიანი, რომელიც ქალის მოტაცებაში მონაწილეობისათვის იძებნებოდა.

* * *

ქობულეთი. რუსთაველის ქუჩაზე ავტომანქანა ზილ-18 (№ 19-81 გრდ), რომელსაც ქობულეთელი დ. მეგვანაძე მართავდა, დაეჯახა ავტომანქანას. შემთხვევის ადგილზე გაემგზავრნენ მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილების სახაზო ზედამხედველობის უფროსი ინსპექტორი თოიძე, სწრაფი გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი შავიშვილი და სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტი, მილიციის ლეიტენანტი ტონოიანი.

* * *

ქუთაისი. ქუთაისის სახაზო მილიციის ქვეგანყოფილების მუშაკების მიერ დადგენილი და დაკავებულია შესტაფონის რაიონის სოფელ შორაპნის მცხოვრები ტ. ბეღიაშვილი, რომელმაც მშენებლობიდან 1,5 ტონა ცემენტი მოიპარა.

△ მოკლედ

შრომის გმირები ულოცავენ მილიციას

მრავალი ქება მინდა მოვძღვნოთ თქვენ, მილიციის მუშაკებო, თქვენს რთულსა და საპატიო შრომისას!

მილიციისა და საზოგადოებრიობის კონტაქტისადმი მიძღვნილ სალამოებზე კოლმეურნეები და მილიციის მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილების უბნის რწმუნებულები ანგარიშით გამოდიან რაიონის მოსახლეობის წინაშე.

გითხრობ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი მილოცვა და საუკეთესო სურვილები გადასცეთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებს საბჭოთა მილიციის 51-ე წლისთავის ზეიმზე.

ე. მელაძე,
სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნე.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის კავშირი ქუთაისის მილიციასთან ძლიერ შედეგიანია. მილიციის მუშაკები ესწრებიან ქარხნის მიერ გამართულ ღონისძიებებს. საზეიმო ვითარებაში ტარდება სრულწლოვანი ახალგაზრდებისათვის პასპორტების გადაცემა, ავტოქარხნის ტერიტორიაზე მილიციის მუშაკები ხშირად ატარებენ საუბრებს, ლექციებს, ანგარიშს აბარებენ უბნის რწმუნებულები.

თავის მხრივ ქარხნის სამოცამდე მუშა-აქტივისტი მილიციასთან ერთად მუდმივად მორიგეობს დასახლებაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით ვულოცავ მილიციის ყველა მუშაკს სახელოვან დღესასწაულს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ მათ თავიანთ მამაცურ და კეთილშობილურ საქმიანობაში.

ი. ხაზარაძე,
სოციალისტური შრომის გმირი, ქუთაისის ავტოქარხნის რაციონალიზატორი.

მთელი ქვეყანა ზეიმობს საბჭოთა მილიციის დღეს!

მებრძოლი გუშაგი

გაუმარჯოს საბ

მოწინავეთა გალერეა

(ზემოდან ქვემოთ): ვ. ცხადაძე — (მილიციის ბათუმის საქალაქო განყოფილება), რ. ჯინჭარაძე — (მილიციის ქუთაისის რაიგანყოფილება), ა. ბერიძე — (მილიციის ბათუმის რაიგანყოფილება), დ. ანანოვი — (ქ. თბილისის კიროვის რაიგანყოფილება), ვ. გიორგობიანი — (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), ა. ზაზროხ-კოვი — (ქ. რუსთავის მეცამეტე გასამხედროებული სახანძრო ნაწილი)

ფოტო მ. პეკელისისა.

დედაქალაქში სანიმუშო წესრიგი

— რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეთ გასული, საიუბილეო წლის შემდგომ პერიოდში ჩვენს დედაქალაქში დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, რა ადგილი დაიჭირა თქვენს პრაქტიკულ საქმიანობაში? — ასეთი კითხვით მივმართეთ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ **კონსტანტინე კეთილაძეს**.

— ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები, მილიციის ორგანოები ფხიზლად მუშაობენ ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან დედაქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, დანაშაულობათა ლიკვიდაციისათვის.

მილიციის პირად შემადგენლობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სამსახურებრივ-საბრძოლო სწავლებისა და ოპერატიულ-პროფილაქტიკური საქმიანობის გაუმჯობესების წელს. წინა წლებთან შედარებით, უკეთეს შედეგებს მივაღწიეთ. საგრძნობლად იკლო ისეთი სახის დანაშაულობებმა, როგორიცაა ძარცვა, ქურდობა, მოქალაქეთა ძარცვა, გაუმჯობესდა დანაშაულობათა გახსნა, ამასთან მოსალოდნელ დანაშაულობათა თავიდან აცილების ფაქტებმა. დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისა და მომხდარ დანაშაულობათა გახსნის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ მილიციის ლენინის, პირველი მაისის, კალინინის რაიგანყოფილებებს. საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი საქმიანობა მილიციის ორჯონიკიძის რაიგანყოფილებამ. დანაშაულობათა საერთო რიცხვის შემცირებას მიაღწიეს მილიციის კიროვისა და კალინინის რაიგანყოფილებებმა.

მიმდინარე წელს მათ გაცილებით მეტი დანაშაული აიცილეს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

დანაშაულობათა წინააღმდეგ აქტიურად იბრძვიან გასული წლის დამლევს ჩამოყალიბებული სამორიგეო ნაწილები. მათი ინტენსიური მუშაობის შედეგად შესამჩნევად იმატა დანაშაულობათა ცხელ კვალზე გახსნამ. მეტი ყურადღება ექცევა საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ორგანიზაციას, რომლის შედეგადაც ამაღლდა გარესამსახურის როლი და მუშაობის ეფექტურობა.

ამ უკანასკნელ პერიოდში ნათლად იგრძნობა საზოგადოებრიობის როლი და მნიშვნელობა დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოებაში. კომკავშირის აქტივთან ერთად ტარდება რეიდები წვრილმანი სპეკულანტებისა და დედაქალაქის სხვა ხორცმეტების გამოსავლენად. დიდი მუშაობა გაწეული აგრეთვე იმ პირთა მიმართაც, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად-სასარგებლო შრომას, ვინაიდან დანაშაულის ერთ-ერთ წარმომშობ მიზეზად უსაქმურობა, პარაზიტული ცხოვრება ჩაითვლება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ საქმეა ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. საჭიროა მთელი საზოგადოების ერთპიროვნული დარაზმვა ამ მავნე ხენის, წარსულის ამ მახინჯი გადმონაშთის აღმოსაფხვრელად.

უფრო ინტენსიური გახდა სახალხო რაზმელების თანამშრომლობა მილიციის მუშაკებთან. ამაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა მათი მუშაობის ორგანიზაციამ, რომელიც ზემდგომი პარტიული ორგანოების დახმარებით უფრო ქმედითი და მიზანსწრაფული გახდა, რამაც გაზარდა მათი მორალი პასუხისმგებლობა.

— სამმართველოს და რაიგანყოფილებების მთელი პირადი შემადგენლობა დიდი აღმავლობით ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მრავალი კონკრეტული ღონისძიებები გვაქვს დასახული, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც საგრძნობლად შეამცირებს დანაშაულობათა წარმოშობის პირობებსა და მიზეზებს, ხელს შეუწყობს დედაქალაქის ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებას. მთელი კომპლექსური ღონისძიებანი დასახული არასრულწლოვანთა დანაშაულობების აღკვეთა-აცილებისათვის. მიმდინარე წელს ქალაქის მილიციის რამდენიმე ბავშვთა ოთახი შეიქმნა. ამაღლდა არასრულწლოვნებთან მომუშავე ამხანაგების და მთელი საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობა. ჩვენი ვალია, მივაღწიოთ იმას, რომ არავითარ მიზეზს საშუალება არ მიეცეს ჩადენის დანაშაული. ეს მილიციის მუშაკთა და დედაქალაქის მშრომელთა უპირველესი ამოცანაა.

სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე

როგორ ემზადებიან სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკები დიდი ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის, რა წარმატებებით შეხვდნენ ისინი ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავს და მილიციის დღეს?

ამ კითხვებით მივმართეთ ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ვ. ი. ბონდარენკოს.

— ეს საკითხი ფართო ასპარეზზე განიხილება მთავრობის, თუმცა შეგეცდება მოკლედ მაინც მოგითხროთ ჩვენი მუშაობის ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხზე, იმ მუშაობის მიმართულებებზე და დამახასიათებელ მეთოდებზე, რომელსაც ჩვენი განყოფილება იყენებს უკანასკნელ დროს.

პირველ და უმთავრეს მიზეზად ჩვენი განყოფილების მუშაობაში ეს არის სამინისტროებთან, უწყებებთან მჭიდრო და ფართო კონტაქტების დამყარება, ურთიერთინფორმაცია და დანაშაულობის პროფილაქტიკის მთელი რიგი კარდინალური და ეფექტური საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის კონტაქტი და ურთიერთობმოქმედება, რომელიც დამყარდა ჩვენსა და მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებს, „საქკავშირის" გამგეობასა და სხვა ორგანიზაციებს შორის.

უკანასკნელ წელს მუშაობის გაუმჯობესების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრიობასთან კავშირი. მოქალაქეების და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დახმარებით, როგორც განყოფილების, ისევე მილიციის საქალაქო და რაიონული განყოფილებების მიერ გახსნილია არაერთი დანაშაული, რომლებზეც დამნაშავეებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს.

მაგალითად, განყოფილებაში შემოვიდა მოქალაქე ლ. აბრამოვის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ქ. ქუთაისისა და წყალტუბოს სამრეწველო მაღაზიების მიერ საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს, მოყვანილი იყო კონკრეტული ფაქტები.

განცხადების შესამოწმებლად ქუთაისში და წყალტუბოში გაიგზავნა ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც გამოავლინა მყიდველთა მოტყუების, სპეკულაციისა და სხვა დარღვევების მრავალი ფაქტი. გატარებული ღონისძიებების შედეგები განხილული იქნა პარტიის ქუთაისისა და წყალტუბოს საქალაქო კომიტეტების ბიუროს სხდომებზე. საკვებრო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს დაედოთ მკაცრი სასჯელები. სხვადასხვა სახის სასჯელები მიიღეს საკვებრო ქსელის მუშაკებმა, რომლებმაც დაუშვეს საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები, ის პირები კი, რომლებიც შემჩნეული იყვნენ სპეკულაციაში და მყიდველთა მოტყუებაში, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობით ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ჩვენი განყოფილების კოლექტივის თვითეული წევრი მოცულია ერთიანი მისწრაფებით — თავიანთი საქმეებით გაამართლონ საბჭოთა მილიციის მუშაკის მაღალი და საპატიო წოდება.

ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი რუსთაველის პროსპექტზე ქ. თბილისში. მისი ხელის მოძრაობა აწესრიგებს მანქანათა ნაკადის შეუფერხებლობას. იგი ყოველთვის ხალხის თვალწინაა და ისინიც მისით მსჯელობენ მილიციაზე.

ფოტო მ. პეკელისისა.

მოძრაობის უსაფრთხოებისათვის

ჩვენი კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილეს **ა. ზ. ლუარსაბიშვილს** და ინტერვიუ აიღო.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ ხვდებიან სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა მილიციის 51-ე წლისთავს, მან უპასუხა:

— იუბილეს შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები კიდევ უფრო დიდი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები შეყვანილი იქნენ სამრეწველო სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების შემადგენლობაში. ამ ხისხლმა ეფექტური გავლენა მოახდინა რესპუბლიკის გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენაზე.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით შეიქმნა რესპუბლიკური კომისიები, რომლებსაც ევალებათ სისტემატურად შეისწავლონ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები.

რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობას შორის აგიტაციურ-პროპაგანდისტული ღონისძიებების გატარებას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სსრ სწდსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებისა და საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მიერ სისტემატურად ჩატარებული რეიდები ხელს უწყობს ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევთა გამოვლინებას.

რესპუბლიკის რიგ ქალაქებში, აგრეთვე მსხვილ რაიონებში ჩატარდა მოძრაობის უსაფრთხოების ერთთვეული.

სახელმწიფო ავტოინსპექციის პირადი შემადგენლობა, მილიციის ყველა სამსახურთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ავტოსაგზაო შემთხვევები.

აი ისინი — რესპუბლიკის მილიციის სახელოვანი მუშაკები (მარცხნიდან მარჯვნივ, — ზემოდან ქვემოთ): ო. აბულაძე (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), რ. გოროვაძე (მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილება), ი. ჭანელიძე (აჭარის ასსრ სწდს სახელმწიფო ავტოინსპექცია), ვ. ძუმბაძე (მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილება), ბ. გულიევი (მილიციის ცხინვალის რაიგანყოფილება), ბ. გუმბერიძე (ქ. ქუთაისის მილიციის სამმართველო), გ. დუდაშვილი (მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილება), ზ. ძიძიგური (მილიციის სოხუმის საქალაქო განყოფილება), რ. კუკუნაშვილი (მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილება), გ. ლოისაბიძე (მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილება), ვ. ნაკაშიძე (მილიციის ბათუმის საქალაქო განყოფილება).

ფოტო მ. პეკელისისა.

სიტყვა და საქმე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავის დღესასწაულის წინა დღეებში ჩვენი კორესპონდენტი ვ. ჯანელიძე დაუკავშირდა აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრს **ვალერი მიხეილის ძე ხინთბას** და სთხოვა მას მოეთხრო, თუ რა სიახლეებს მიაღწია სწდს პირადმა შემადგენლობის მუშაკებმა საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მილიციის 50 წლისთავის შემდგომ პერიოდში.

აი რა გვიამბო მან:

— დანაშაულობათა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას ბევრად განაპირობებს ის გარემოება, თუ როგორი აქტიურობით მონაწილეობს დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობა, მოსახლეობა, რამდენად შეურიგებელია საზოგადოებრივი აზრი დანაშაულის გამოვლინების მიმართ.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ერთიანი აზრის ჩამოყალიბების, მისი წარმოშობის მიზეზებისა და პირობების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზისა და მისი თავიდან აცილების მეთოდების შემუშავების მიზნით სამინისტროსთან შექმნილია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელშიაც შედიან აფხაზეთის გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ექიმები და ა. შ. ესენი არიან ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შ. მიხაბიშვილი (ინსტიტუტის ხელმძღვანელი), ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. ძიძარია, მედიცინის დოქტორი, პროფესორი მ. აბალაია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი შ. ინალიფა, მწერალი ი. პაპასკირი, პროფესორი ვ. პანტურია და სხვ.

ინსტიტუტის წევრები ხშირად გამოდიან მოსახლეობის წინაშე საუბრებით საბჭოთა კანონების ახსნა-განმარტების მიზნით და, როგორც წესი, უართო მასებს რაზმავენ დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სასოფლო საბჭოებთან შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბჭოები, რომელთაგანაც ზოგიერთ მათგანს, კერძოდ, **ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის სოფლსაბჭოს და გუდაუთის რაიონის მუგუძირხვის სოფლსაბჭოს მართლწესრიგის დარღვევის არავითარი შემთხვევა არა აქვს.**

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის ინიციატივა გაიზარდა. ასე, მაგალითად, კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან შეიქმნა კომკავშირული პროჟექტორები: პარკებში, სკვერებში, პლაჟებზე, დასასვენებელ სახლებსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ოპერატიულ ჯგუფებთან ერთად პატრულირებას ეწევიან კომკავშირული ჯგუფები და ბრიგადები. წლეულს მათი დახმარებით არაერთი დანაშაული იქნა გახსნილი და აცილებული.

სასიხარულოა, რადგანაც ჩვენ წარმატებით გვირგვინდება. აფხაზეთის ასსრ სწდს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილის შემსრულებლის ჯობავას, ამავე განყოფილების ოპერრწმუნებულის ლ. გოგოხიას, მილიციის გუდაუთის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილის შ. მელიასა და სამსახურებრივ-სამძებრო ძაღლის გამყოლ შ. შამირის ვარდა სანატორიუმ „ოქროს ნაპირში" დასასვენებლად ჩამოსული ტურისტებისათვის ფულისა და ნივთების მოპარვათა დადგენისა და დაკავების საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ გუდაუთის მერვე საშუალო სკოლის მოსწავლეები ს. ოლენიკი და ი. ტორიაშვილი.

საკონსერვო ქარხნის მუშის შ. კაპანაძისა და მოქალაქეების — ფიფიასა და ვოსკანოვის დახმარებით დაკავებული იქნენ ქურდები, რომლებმაც გაიტაცეს ფული ვაჭრის რაიონის სოფელ განთიადის შემნახველი სალაროდან.

ეს საერთო სახალხო მოძრაობა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისაკენ, მთელ რიგად, თავის კვალს ამჩნევს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სურათს: წლეულს გაიზარდა მომხდარ დანაშაულობათა გახსნა, შემცირდა ისეთ სახიფათო დანაშაულობათა რიცხვი, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ხულიგნობა, სახელმწიფო ქონების ქურდობა. მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისად ვიბრძვით დანაშაულობათა ისეთი სახეობების წინააღმდეგ, როგორიცაა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, ავტოსაგზაო შემთხვევები და სხვ.

ამჟამად, ემზადება რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შესახვედრისათვის, აფხაზეთის ასსრ სწდს მთელმა პირადმა შემადგენლობამ ახალი გაზრდილი ვალდებულებები აიღო.

ჩვენი ვალია, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს.

სატრანსპორტო მილიცია — დღესასწაულს

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სატრანსპორტო განყოფილების უფროსს, მილიციის პოლკოვნიკ **ა. მარკოიშვილს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— რა სიახლეები გაქვთ მუშაობაში მილიციის 50 წლისთავის შემდგომ განვლილ პერიოდში?

— გასულ წელს ჩვენი განყოფილების მუშაკები დიდი წარმატებით შეხვდნენ საბჭოთა მილიციის სახელოვან იუბილეს. ეს წარმატებები კიდევ უფრო გაიზარდა მილიციის 50 წლისთავის შემდგომ განვლილ პერიოდში, სატრანსპორტო განყოფილების მუშაკები კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რათა კვლავაც მოწინავეთა რიგებში იყვნენ და ღირსეულად ატარებდნენ მილიციის მოწინავე მუშაკის სახელს.

მიღწეულ წარმატებებში უდიდეს დიდი როლი ითამაშა კარგად დაყენებულმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ. ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფა შემდგომი წარმატებების საწინდარია.

ღრმადაა ფესვებული და მტკიცდება საზოგადოებრიობასთან კავშირი, რადგან ვიცით, რომ მხოლოდ საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირით, მასთან უშუალო კონტაქტის დამყარებით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებებს. დღემდე სატრანსპორტო მილიციის ორგანოებს თვით იჩენდნენ ინიციატივას რათა ჩაებათ საზოგადოებრიობა წესრიგის დამყარების საქმეში, მათთან ერთად ჩატარებინათ რეიდები დამნაშავე ელემენტების გამოსავლენად. დღეს კი არაერთი შემთხვევა გვაქვს, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თვითონვე იჩენენ ინიციატივას ამ საქმეში, მაგალითად უბილეთო მგზავრების დადგენის საკითხები და სხვ.

მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე საერთო დანაშაულის რაოდენობაზე მნიშვნელოვნად შემცირდა. ამაღლდა მომხდარ დანაშაულობათა გახსნის პროცენტი. გარკვეული პროცენტებით შემცირდა ისეთი სახის დანაშაულობანი, როგორიცაა მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ქურდობა, ხულიგნობა.

— როგორ ემზადებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის?

— ამიერკავკასიის რკინიგზის მილიციის საგზაო განყოფილებამ ერთოულად დასახა და ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა ღირსეულად შევხვდეთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს. ამ მიზნით ხშირად ტარდება ლექციები-მოხსენებები, საუბრები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, ურთიერთვალდებულებების გაზიარების მიზნით. მოეწყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, კარგად გაფორმებული სტენდები, გამოდის კედლის გაზეთები და სხვ.

საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისათვის

რესპუბლიკის მილიციის საპასპორტო განყოფილების უფროსმა **გიორგი პაპიაშვილმა** ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში მიმდინარე წლის განმავლობაში საპასპორტო განყოფილების ორგანოების მუშაობის შესახებ განაცხადა:

საქართველოს სსრ სწდს მილიციის ორგანოების საპასპორტო აპარატმა დიდი მუშაობა გასწია რესპუბლიკაში საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისათვის.

პროფილაქტიკური მიზნით გაზეთ „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკაში", „ვეჩერნი ტბილისში" და „მებრძოლ გუშაგში" გამოქვეყნდა სტატიები საპასპორტო რეჟიმის საკითხებზე. ამის გარდა მოხსენებები და საუბრები მოეწყო რადიოთი და ტელევიზიით.

ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრიობის მონაწილეობას საპასპორტო რეჟიმის დაცვასა და განმტკიცებაში, საპასპორტო ორგანოებმა მიმდინარე წელს ამ საქმეში ჩააბეს შტატგარეშე თანამშრომლები და საზოგადოებრივი ინსპექტორები.

წელს შემოწმებული იქნა საპასპორტო რეჟიმის დაცვის მდგომარეობა 40 გეოლოგიურ პარტიაში. ამის გარდა სოფლის მოსახლეობის მთლიანი პასპორტიზაციისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა რესპუბლიკის 6 რაიონში: ბათუმში, ქობულეთში, მახარაძეში, ჩოხატაურში, ბორჯომსა და გაგრაში.

1967 წლის 11 ნოემბერს საქართველოს სსრ სწდს კოლეგიის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი „რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საპასპორტო რეჟიმის დაცვის შესახებ". მხილებულ იქნა საპასპორტო რეჟიმის დაცვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი მილიციის თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალისა და სხვა ორგანოებში.

დასახული გეგმა პატიოსნად შესრულდა.

ამჟამად რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს საპასპორტო განყოფილება კიდევ უფრო ენერგიულად ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა მილიციის 51 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ორშაბათი, 11 ნოემბერი, 1968 წ.

ჭოთა მილიციას!

ავტოტრანსპორტის მოძრაობა ქ. სოხუმში საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორთა სანიმუშო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

სურათზე: ტ. გურგენიძე საგზაო მორიგეობის დროს.

ფოტო მ. პეკელისისა.

მილდეული

ზღვარი არ არის

ამ დღეებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა მილიციის 51-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სწეს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს მილიციის პოლკოვნიკ ვ. თალაკვაძეს მივმართეთ თხოვნით, ეამბნა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკთა ახალი წარმატებებისა და საქმიანობის შესახებ.

* * *

— დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში და სოფლებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა — ასეთია სისხლის სამართლის სამძებრო მუშაკთა მთავარი და ძირითადი ამოცანა, — გვითხრა ვ. თალაკვაძემ. — მიმდინარე წელს ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად, სისხლის სამართლის სამძებრომ მიაღწია დანაშაულობათა ...

ირისტონი წინასადღესასწაულო დღეებში

იდეოლოგიური მუშაობის კონკრეტულობისათვის

ხალხი და მილიცია — მხარდამხარ

რუსთავის მილიცია — იუბილეს

მასებთან კავშირში

სურათებზე: საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულები. (მარცხენა მწკრივში, ზემოდან ქვემოთ): ა. თვარაძე (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), ი. ჭაფარიძე (მილიციის მცხეთის რაიგანყოფილება), ნ. ინანიშვილი (ქ. ქუთაისის მილიციის სამმართველო), შ. ურთმელიძე (მილიციის ქუთაისის რაიგანყოფილება), ლ. კურაშვილი (მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილება; (მარჯვენა მწკრივში, ზემოდან ქვემოთ): გ. დიასამიძე (მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილება), დ. ჭვარშიშვილი (მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილება), ჯ. არაბული (მილიციის თელავის რაიგანყოფილება), კ. მელიქი (მილიციის ცხინვალის საქალაქო განყოფილება), ნ. კიცბა (მილიციის სოხუმის რაიგანყოფილება).

ფოტო მ. პეკელისისა.

მოწინავეთა გალერეა

საბჭოთა მილიციის 51-ე წლისთავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკები ახალი წარმატებებით ეგებებიან.

სურათებზე (ზემოდან ქვემოთ): დ. ქარხაძე (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), ა. კოკაია (მილიციის ბათუმის საქალაქო განყოფილება), დ. ზარიძე (ქ. ქუთაისის მილიციის სამმართველო), ბ. ხარაიშვილი (მილიციის სოხუმის საქალაქო განყოფილება), გ. ბოცელოვაძე (მილიციის ქობულეთის რაიგანყოფილება), ნ. მირზაშვილი (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი).

ფოტო მ. პეკელისისა.

ხალხი უმღერის მილიციას

საბჭოთა მილიციის დღეს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მრავალრიცხოვან თანამშრომლებთან ერთად, დიდი სიხარულით აღნიშნავს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის სახელი და ღირსება, ვინც თავისი შრომითი საქმიანობით მოწოდებულია იდგეს პატიოსან ადამიანთა მოწინავე რიგებში და იბრძვის კიდევ ჩვენი დედა-სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობისათვის. კომუნიზმის დიადი მშენებლობის ამოცანების ქომაგი ხელი და გული სჭირდება, საბჭოთა ხალხის ძალისა და ენერგიის დაუზოგავად ილვის თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის. მისთვის ყოველი დღე როგორც სახალხო დღესასწაული და გული სიხარულით ივსება, როცა ვეგებებით ჩვენი თვალსაჩინო ქვეყნის მშრომელთა ახალი მიღწევების შესახებ. ჩვენს შრომას, საქმიანობას, დასვენებისა და სიმშვიდის უძილო დამცველისა და ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ ჩვენი სახელოვანი ლეგენდარული გმირები, რომელთა საქმიანობა ნამდვილად იმსახურებს ქება-ქებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი ლექსი შექმნილა, რომელშიც სახალხო მთქმელები, პოეტები უმღერიან მხნე და მეხალხეობრივ სიმშვიდის გუშაგებს, მათ ყოველდღიურ მძიმე შრომას, მათ ინტერესებს და მისწრაფებებს. საბჭოთა მილიციის და მის მიმდე წარმომადგენლებს ერთნაირი გატაცებით უძღვნიან თავიანთ ქუთაისურ კოლმეურნეები, სტუდენტები, მილიციის მუ-

ხელოვნება

მოწინავეთა გალერეა

სურათებზე: ორგანოს საუკეთესო წარმომადგენლები (ზემოდან ქვემოთ): ი. თეთრაძე (მილიციის სამტრედიის რაიგანყოფილება), ს. კუდუხაშვილი (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), ი. ბოლქვაძე (სამხრეთ ოსეთის ხწდ სამმართველო), გ. ხუბაშვილი (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი), ნ. კვირნაძე (მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილება); ტ. ცალხშვილიშვილი (ქ. თბილისის მილიციის ოპერატიული პოლკი).

მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილების უფროსის, მილიციის კაპიტან ს. ქილდხსეევის ცხოვრებაში. ამ დღეებში მან მიიღო საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების დიპლომი.

სურათზე: ამხანაგების ჩვეული ულოცავს ქილდხსეევს დიპლომის მიღებას.

ფოტო შ. შეყილისა.

ცრუმოწმეთა გასაჭირი

დამნაშავე დაკავებულია

ბინის ქურდი მახეში

შერლოკ ჰოლმსის კლუბი

საგამომძიებლო პრაქტიკიდან

გთავაზობთ ნახოთ, მოისმინოთ

ტელევიზია

რედაქტორი

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

გაზეთი „მებრძოლი გუშაგი" გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე. ხელმოწერის ფასი 1 წლით — 2 მან. და 08 კაპ., ნახევარი წლით — 1 მან. და 04 კაპ.

... და 1969 წლის მოგზაურობის თვეები სათვის.

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 20 ნოემბერს.

„მეს"

ორშაბათი, 11 ნოემბერი, 1968 წ.